

2014 წლის 20 თებერვალს ევროპული სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად ატარებს მასწავლებელთა სასწავლო-მეთოდურ კონფერენციას

კონფერენციის თემა : საინფორმაციო ტექნოლოგიები - სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის

მიზნობრივი ჯგუფი: საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლები.

კონფერენციის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების შესახებ გამოცდილების გაზიარება.

კონფერენციაზე მასწავლებლებს მიეცემათ საშუალება წარმოადგინონ საკუთარი ნამუშევრები, ასევე, მოუსმინონ კოლეგებს და გაიზიარონ მათი გამოცდილება.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოხსენება:

1. უწყობს თუ არა ხელს ისტ რესურსის გამოყენება მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას.
2. არის თუ არა მკაფიოდ აღწერილი, რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს და როგორ.
3. ითვალისწინებს თუ არა ისტ რესურსი მოსწავლეთა ინტერაქციას.
4. არის თუ არა მოხსენებაში წარმოდგენილი რეკომენდაციები ისტ რესურსის გამოყენების შესახებ მარტივად განსახორციელებელი როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლისთვის.
5. იძლევა თუ არა საშუალებას მოხსენებაში წარმოდგენილი ისტ რესურსი, რომ მასწავლებელმა/მოსწავლემ გააკეთოს (შექმნას, ისწავლოს, ასწავლოს) ის, რასაც ვერ გააკეთებდა ამ ციფრული რესურსის გარეშე.

პრეზენტაციის ფორმა:

- ზეპირი მოხსენება საპრეზენტაციო ფორმატში (Power Point), რეგლამენტი - **10 წუთი**
- სტენდური პრეზენტაცია; (სტენდზე ვიზუალურად წარმოდგენილი საპრეზენტაციო თემის საკვანძო საკითხები).

მომხსენებლების შერჩევა ხდება შემოსული თეზისების საფუძველზე, რომელსაც განიხილავს პროფესიონალებით დაკომპლექტებული კომისია.

რატომ უნდა მიიღოთ მონაწილეობა კონფერენციაში?

- გაეცნობით სიახლეებს საგანმანათლებლო სფეროში;
- გაუზიარებთ და გაიზიარებთ კოლეგების გამოცდილებას;
- აიმაღლებთ კვალიფიკაციას;
- მოიპოვებთ სქემით გათვალისწინებულ კრედიტებს;
- საშუალება მოგეცემათ პროფესიულ ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნოთ თქვენი მოხსენება, რაც დამატებითი კრედიტის მოპოვების საშუალებაა.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადი,
შეავსოთ **მოცემული ფორმა** 

მოხსენების თეზისები:

(თეზისები წარმოდგენილი უნდა იყოს Sylfaen 12 შრიფტით. ხაზებს შორის დაშორება 1,5):

- მოხსენების სათაური
- შესავალი
- მეთოდები და პროცესის მოკლე აღწერა
- შედეგი
- დასკვნა
- გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, განაცხადი წარმოადგინოთ ელექტრონულ
მისამართზე: conference@europeanschool.ge

განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა: **25 იანვარი**

კონფერენციის ორგანიზატორები და პარტნიორები:

- ევროპული სკოლა
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დატებითი ინფორმაცია იხილეთ ევროპული სკოლის ვებ-

გვერდზე: <http://www.europeanschool.ge>

საკონტაქტო პირი: მაია ინასარიძე

ტელ: +995 577 73 64 24